An Garda Síochána

An Garda Síochána სიამოვნებისთ წარმოგიდგენთ ონლაინ განაცხადის ფორმას სიძულვილის დანაშაულის შესახებ, რომელზე წვდომაც შესაძლებელი არის აქ www.garda.ie.

თუ თქვენ ხართ მსხვერპლი ან მოწმე ინციდენტისა, რომელიც დაუყოვნებლივ მოითხოვს გარდას ყურადღებას - დაუყოვნებლივ აკრიფეთ 999 ან 112.

რას ვგულისხმობთ სიძულვილის დანაშაულში?

An Garda Síochána - ს განმარტების საფუძველზე სიძულვილის დანაშაული ნიშნავს - თქვენ შეიძლება იყოთ სიძულვილის დანაშაულის მსხვერპლი, თუ თქვენს წინააღმდეგ დანაშაული დაექვემდებარება სისხლის სამართლის დანაშაულს, როგორიცაა თავდასხმა, შევიწროება ან საზოგადოებრივი წესრიგი და თვლით, რომ მიზანში ამოღებული იყავით თქვენი ასაკის, ინვალიდობის, რასის, ფერის, ეროვნების, ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური ორიენტაციის ან სქესის გამო. მათ დაცულ მახასიათებლებს უწოდებენ.

რას ვგულისხმობთ სიძულვილის ინციდენტში?

სიძულვილის ყველა შემთხვევა არ წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს. ჩვენ ამას არაკრიმინალურ სიძულვილის ინციდენტებს ვუწოდებთ. არაკრიმინალური სიძულვილის შემთხვევები შეიძლება მოიცავდეს დისკრიმინაციის, ბულინგის, ონლაინ ბოროტად გამოყენების ან სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევებს. იგივენაირად მნიშვნელოვანია, რომ თქვენ შეგვატყობინოთ არაკრიმინალური სიძულვილის ინციდენტების შესახებ.

რა მოხდება, თუ მტკიცებულებები არ მაქვს?

არ ინერვიულოთ. თქვენ არ გჭირდებათ დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა, რომ ინცდენტი შეგვატყობინოთ და ამით არ იკისრებთ ვალდებულებებს, რომ შემდგომი ზომები მიიღოთ.

- ჩვენ მოვისმენთ თქვენს სათქმელს
- ჩვენ გავაკეთებთ ჩანაწერს ამ ინციდენტის შესახებ
- ჩვენ გავვიხილავთ შესაძლებელ ვარიანტებს თქვენთან ერთად და შევათანხმებთ საუკეთესო ვარიანტს სამოქმედოდ.

რატომ განვაცხადოთ სიძულვილი?

სიძულვილის დანაშაულის ან სიძულვილის ინციდენტის შესახებ ინფორმაცია დაგვეხმარება გავიგოთ, რა დაგემართა და რა სახის რეაგირება გჭირდებათ. ეს ასევე საშუალებას მოგვცემს დავაკვირდეთ სად და რამდენად ხშირად ხდება ასეთი ინციდენტები. ეს დაგვეხმარება ხალხის უსაფრთხოებაში, პოლიციის უფრო ეფექტური რეაგირებით..

გახადე სიძულვილის დანაშაული ხილვადი – განაცხადე დღესვე #LetsStopHateTogether